დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა სარალიძე

წევრები:

თამარი ბლიაძე - ზოგადის განათლების ხარისხის ექსპერტი

თეა მელქაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი

ნიკა უთალიშვილი -საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი

ხათუნა ფანცულაია -უცხოური ენების ექსპერტი

ხათუნა კალმახელიძე-ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი

ნათია გაგნიძე -ტექნოლოგიების ექსპერტი

მზევინარ მჟავანაძე-სახელმწიფო ენის ექსპერტი

ირმა შველიძე-მათემატიკის ექსპერტი

ლელა მანგოშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი კლასების ექსპერტი

გიორგი კოპლატაძე -სპორტის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	222943796

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ამბროლაური ნიკორწმინდა
ფაქტობრივი მისამართი	ამბროლაური, ნიკორწმინდა
საფოსტო ინდექსი	0400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	nikortsminda@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	551 093886

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	10.06.2025 წლის ბრძანება N9 25 0000647767
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	09 და 10 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფხური	ქართული ენა	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი სოფელი ნიკორწმინდა
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფხური	ქართული ენა	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი სოფელი ნიკორწმინდა
	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი სოფელი ნიკორწმინდა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 09 და 10 ივლისს, სკოლაში ვიზიტამდე ჯგუფმა განახორციელა სამუშაო შეხვედრა Teams პლატფორმის გამოყენებით. შეხვედრაზე განხილულ იქნა სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შემუშავდა სამუშაო განრიგი და ვიზიტამდე სკოლიდან გამოსათხოვი დამატებითი დოკუმენტაციის ნუსხა. ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად. სკოლა შედგება ერთ სამსართულიანი კორპუსისაგან. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად მოხდა ეზოს,

სასწავლო კორპუსის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება, ექსპერტები შეხვდნენ დირექციის წარმომადგენლებს, პედაგოგებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს . საგნობრივი ექსპერტები Teams პლატფორმის საშუალებით შეხვდნენ საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს . ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი საფეხური)*	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საგაზო საფეხური)*	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საშუალო საფეხური)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას*	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლის თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების: „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	*ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ წარმოდგენა.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)*	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით სკოლის მთლიანი ტერიტორიის დაფარვა*
ინდიკატორი N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ დროის ფარგლებში ექიმის ოთახი აღჭურვოს კანონმდებლობის შესაბამისად.*
ინდიკატორი N3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობა.*

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *დაწყებითი საფეხური*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ცდების ჩასატარებელი შესაბამისი ინფრასტრუქტურის და ღია სპორტული მოედნის მოწყობა.*
ინდიკატორი N2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბიმისი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სპორტის, გერმანული ენისა და მათემატიკის მასწავლებლებით შესაბამისი კურიკულუმის განხორციელება*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *საბაზო საფეხური*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ*	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ცდების ჩასატარებელი შესაბამისი ინფრასტრუქტურის და ღია სპორტული მოედნის მოწყობა.*

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	
ინდიკატორი N2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბიმისი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სპორტის, გერმანული ენისა და მათემატიკის მასწავლებლებით შესაბამისი კურიკულუმის განხორციელება*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ცდების ჩასატარებელი შესაბამისი ინფრასტრუქტურის და ღია სპორტული მოედნის მოწყობა.*
ინდიკატორი N2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბიმისი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სპორტის, გერმანული ენისა და მათემატიკის მასწავლებლებით შესაბამისი კურიკულუმის განხორციელება*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.2.1	*სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს*	*სასურველია სკოლამ „მისიის, ხედვის, ღრებულებების და სრტატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში“ აღნიშნოს მონიტორინგისა და შეფასების რომელ ალტერნატიულ გზას გამოიყენებს.*

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*სასურველია სკოლამ დოკუმენტში „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები“ გაწეროს სკოლაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობები.*
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*უსტატუსო მასწავლებლების საგნობრივ გამოცდაზე კომპეტენციის ვერ დადასტურების შემთხვევაში სასურველია სკოლამ 2025-2026 სასწავლო წლის დაწებამდე გამოაცხადოს ვაკანსია შესაბამის საგნებში.*
ინდიკატორი N 3.2.1.5	*წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები*	*სასურველია სკოლამ შემუშავებული შეფასების მოდელი განსაზღვროს სასკოლო სასწავლო გეგმაში.*
ინდიკატორი N N3.3.1.3	*სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა*	*სასურველია სკოლამ შემუშავებული შინაგანაწესის მე-20 მუხლი მოარგოს სკოლის საჭიროებებს.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან*	*სასურველია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ასევე ვიდეოსათვალთვალო სისტემის მონიტორზე წვდომა ჰქონდეს მხოლოდ დირექტორის ბრძანებით დაკისრებულ პირს.*

	შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.4.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას*	*სასურველია მრჩეველთა საბჭოს სხდომები იმართებოდეს წლის მანძილზე არანაკლებ ოთხჯერ.*
ინდიკატორი N3.6.1.1	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას*	*სასურველია კომპიუტერულ ლაბორატორია განახლდეს ახალი კომპიუტერული ტექნიკით.*
ინდიკატორი N3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*სასურველია მობილობით გადასული მოსწავლეთა პირადი საქმის ასლი ინახებოდეს სკოლაში შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.*
ინდიკატორი N3.6.2.4	*სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის*	*სასურველია სკოლის დირექტორმა 2024 წლის 10 დეკემბრამდე კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლი 43 „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სამეურვეო საბჭოს ჩააბაროს ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებაც.*

	მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან	
ინდიკატორი N3.7.1.2	*სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა*	*სასურველია სკოლამ წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები ასახოს ბიუჯეტში*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.2.1.4	*სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით*	*სასურველია სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვროს სკოლაში წლიური, სემესტრული, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები და ასევე ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები.*
ინდიკატორი N4.2.3.1	*სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას*	*სასურველია სკოლამ პერსონალი გადაამზადოს ინკლუზიური განათლების მიმართულებით*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხური)*	***რჩევა***
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გამოყენებული იქნას მე-2 და მე-5 კლასის კურიკულუმის შედგენისას მიღებული გამოცდილება და მოხდეს მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმში თემებისა და საკითხთა გადაჯგუფება. ზოგიერთ შემთხვევაში კონტექსტ მაგალითების დაკონკრეტება ნაცვლად წარმოდგენილი ზოგადი ფრაზებისა მაგ: ინფორმაციის დამუშავება და წარდგენა.*

		მათემატიკაში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთ დაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე ინტეგრირებული შუალედური, შემოქმედებითი დავალებები. სასურველია STEM პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაც.
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სასურველია კომპლექსური დავალების იდეებისა და კონტექსტ მაგალითების ნათლად წარმოდგენა არსებობის შემთხვევაში.* *სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მოცემულ თემებს მითითებული ჰქოდეს სტანდარტით განსაზღვრული შესაბამისი სავალდებულო თემატური ბლოკის სახელწოდებაც, დაწყებით საფეხურზე- მე და გარესამყარო, ადამიანები და ხელოვნება, ხელოვნება ჩვენ გარშემო; საბაზო საფეხურზე- გარემო და ხელოვნება, ადამიანი ხელოვნებაში, საზოგადოება და ხელოვნება. ასევე სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში კომპლექსური დავალების იდეა/პირობის გრაფაში მითითებული იყოს არა მხოლოდ პროდუქტის სახელწოდება (მაგალითად, პეიზაჟის შექმნა), არამედ რა ხერხებითა და საშუალებებით, რა ცნებებზე დაყრდნობით უნდა შეიქმნას აღნიშნული პროდუქტი (მაგალითად,დახატე გრაფიკული ან ფერწერული პეიზაჟი, რომელშიც ასახავ გარემოდან მიღებულ შთაბეჭდილებას. განწყობის გადმოსაცემად გამოიყენე შენთვის სასურველი ფერები (ძირითადი, შედგენილი, ცივი, თბილი). ხაზები (მაგ., სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, მრუდი, დიაგონალური, სქელი, წვრილი). *მათემატიკაში სასურველია ყველა კლასში კათედრამ იმუშაოს ერთად შემუშავებულ კურიკულუმის ჩარჩოში. ცნებები/ ქვეცნებები, თემები, საკითხები, კონტექსტ მაგალითები და დავალებები გავწეროთ ესგ-ეს შესაბამისად და განვათავსოთ შესაბამის სვეტებში; კურიკულუმის ჩარჩოში სრულად გავწეროთ საფეხურის ფარგლებში შესასწავლი ყველა სავალდებულო თემა. კონტექსტ მაგალითები ყოველთვის ისე შევარჩიოთ, რომ ეხმარებოდეს მოსწავლეს შუალედური დავალების გაგება- გააზრებაში.* *მეტი სიცხადისა და*

		გარკვეულობისთვის სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს თან დაურთოთ შუალედური დავალების პირობები (უმჯობესია ეტაპებად გაწერილი) შესაბამისი, ცნებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით. *მე და საზოგადოების (მე-3 და მე-4 კლ) კურიკულუმებში მკაფიოდ გამოკვეთეთ ყველა გრძელვადიანი მიზანი და მათთან დაკავშირებული შინაარსობრივი კომპონენტები;* *სასურველია, დაწყებითების კურიკულუმისთვის შემუშავდეს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება, აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები და დავალების იდეა/პირობა, განსაკუთრებით, მათემატიკის საგნობრივი მიმართულებით.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*სახელმწიფო ენაში სასურველია, რომ კურიკულუმებში ძირითად მასალად უფრო მეტად გრიფირებული სახელმძღვანელოს მასალა იქნას გამოყენებული, ხოლო სხვა რესურსები დამატებით მასალებად.* *მათემატიკაში სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სახელმძღვანელოს მითითებისას უმჯობესია მივუთითოთ გვერდები და პარაგრაფები, ელექტრონული რესურსებისთვის კი ლინკები.* *სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები.*
ინდიკატორი N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*სასურველია ყველა საგანში არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები აისახოს კურიკულუმებში.*

ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სასურველია შემუშავდეს რუბრიკები, რომელიც გაწერილი იქნება თემის ან სასწავლო საკითხების მიხედვით , მკაფიოდ გამოკვეთილი კრიტერიუმებით სამიზნე ცნებასთან და სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში* *სახელმწიფო ენაში სასურველია, კათედრამ კურიკულუმში გაწერილ კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკათა ბანკი.* *მათემატიკაში სასურველია განმავითრებელი შეფასება წერილობითი უკუკავშირის სახით აწარმოოთ და ასახოთ ელექტრონულ ჟურნალში.* *სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები.*
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	*სასურველია მათემატიკის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით* *სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.*

ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სასურველია შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გამოიკვეთოს კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებასა და მისაღწევ შედეგებთან* *ესთეტიკური აღზრდაში სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს-რა უნდა გაეკეთებინა, წაახალისოს-რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა-რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ.* *მათემატიკაში სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს-რა უნდა გაეკეთებინა, წაახალისოს-რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა-რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ.* *სასურველია, აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები.*
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*მათემატიკაში სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სწავლის მიზნების გათვალისწინებით მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.* *სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საგაზო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*სახელმწიფო ენაში სასურველია, კათედრამ კურიკულუმის შედგენისას საგაზო საფეხურზეც იხელმძღვანელოს ცნებათა იმ ფორმულირებით, რომელიც დღეს არის მიღებული.* *მათემატიკაში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთ დაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე ინტეგრირებული შუალედური, შემოქმედებითი დავალებები. სასურველია STEM პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაც.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სასურველია კომპლექსური დავალების იდეებისა და კონტექსტ მაგალითების ნათლად წარმოდგენა არსებობის შემთხვევაში.* *მათემატიკაში სასურველია კათედრამ იმუშაოს ერთად შემუშავებულ კურიკულუმის ჩარჩოში. ცნებები/ ქვეცნებები, თემები, საკითხები, კონტექსტ მაგალითები და დავალებები გავწეროთ ესგ-ეს შესაბამისად და განვათავსოთ შესაბამის სვეტებში; კურიკულუმის ჩარჩოში სრულად გავწეროთ საფეხურის ფარგლებში შესასწავლი ყველა სავალდებულო თემა. კონტექსტ მაგალითები ყოველთვის ისე შევარჩიოთ, რომ ეხმარებოდეს მოსწავლეს შუალედური დავალების გაგება- გააზრებაში. მეტი სიცხადისა და გარკვეულობისთვის სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს თან დაურთოთ შუალედური დავალების პირობები (უმჯობესია ეტაპებად გაწერილი) შესაბამისი, ცნებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,*	*სახელმწიფო ენაში სასურველია, რომ კურიკულუმებში ძირითად მასალად უფრო მეტად გრიფირებული სახელმძღვანელოს მასალა იქნას გამოყენებული, ხოლო სხვა რესურსები დამატებით მასალებად.*

	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	*მათემატიკაში სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სახელმძღვანელოს მითითებისას უმჯობესია მივუთითოთ გვერდები და პარაგრაფები, ელექტრონული რესურსებისთვის კი ლინკები.* *მე-7 და მე-8 კლასის მოქალაქეობის კურიკულმებში მკაფიოდ გამოკვეთეთ ყველა გრძელვადიანი მიზანი და მათთან დაკავშირებული შინაარსობრივი კომპონენტები.*
ინდიკატორი N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სასურველია სამივე საფეხურზე არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები აისახოს კურიკულუმში.* *სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები აისახოს კურიკულუმებში.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სასურველია შემუშავდეს რუბრიკები, რომელიც გაწერილი იქნება თემის ან სასწავლო საკითხების მიხედვით , მკაფიოდ გამოკვეთილი კრიტერიუმებით სამიზნე ცნებასთან და სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში.* *მათემატიკაში სასურველია განმავითრებელი შეფასება წერილობითი უკუკავშირის სახით აწარმოოთ და ასახოთ ელექტრონულ ჟურნალში.*
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	*სასურველია მათემატიკის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის*

		განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სასურველია შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გამოიკვეთოს კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებასა და მისაღწევ შედეგებთან* *ესთეტიკური აღზრდაში სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს-რა უნდა გაეკეთებინა, წაახალისოს-რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა-რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ.* *მათემატიკაში სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს-რა უნდა გაეკეთებინა, წაახალისოს-რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა-რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ.*
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*მათემატიკაში სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სწავლის მიზნების გათვალისწინებით მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)*	*რჩევა*

ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*მათემატიკაში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთ დაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე ინტეგრირებული შუალედური, შემოქმედებითი დავალებები. სასურველია STEM პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაც.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სასურველია კომპლექსური დავალების იდეებისა და კონტექსტ მაგალითების ნათლად წარმოდგენა არსებობის შემთხვევაში.* *მათემატიკაში სასურველია ყველა კლასში კათედრამ იმუშაოს ერთად შემუშავებულ კურიკულუმის ჩარჩოში. ცნებები/ ქვეცნებები, თემები, საკითხები, კონტექსტ მაგალითები და დავალებები გავწეროთ ესგ-ეს შესაბამისად და განვათავსოთ შესაბამის სვეტებში; კურიკულუმის ჩარჩოში სრულად გავწეროთ საფეხურის ფარგლებში შესასწავლი ყველა სავალდებულო თემა. კონტექსტ მაგალითები ყოველთვის ისე შევარჩიოთ, რომ ეხმარებოდეს მოსწავლეს შუალედური დავალების გაგება- გააზრებაში.* *მეტი სიცხადისა და გარკვეულობისთვის სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს თან დაურთოთ შუალედური დავალების პირობები (უმჯობესია ეტაპებად გაწერილი) შესაბამისი, ცნებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*სახელმწიფო ენაში სასურველია, რომ კურიკულუმებში ძირითად მასალად უფრო მეტად გრიფირებული სახელმძღვანელოს მასალა იქნას გამოყენებული, ხოლო სხვა რესურსები დამატებით მასალებად.* *მათემატიკაში სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სახელმძღვანელოს მითითებისას უმჯობესია მივუთითოთ გვერდები და პარაგრაფები, ელექტრონული რესურსებისთვის კი ლინკები.*

ინდიკატორი N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სასურველია არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები აისახოს კურიკულუმში.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სასურველია შემუშავდეს რუბრიკები, რომელიც გაწერილი იქნება თემის ან სასწავლო საკითხების მიხედვით , მკაფიოდ გამოკვეთილი კრიტერიუმებით სამიზნე ცნებასთან და სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში* *მათემატიკაში სასურველია განმავითრებელი შეფასება წერილობითი უკუკავშირის სახით აწარმოოთ და ასახოთ ელექტრონულ ჟურნალში.*
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	*სასურველია მათემატიკის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით.*
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სასურველია შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გამოიკვეთოს კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებასა და მისაღწევ შედეგებთან* *მათემატიკაში სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს-რა უნდა გაეკეთებინა, წაახალისოს-რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა-რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ.*

ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*მათემატიკაში სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სწავლის მიზნების გათვალისწინებით მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები. აღსანიშნავია,რომ მესამე სტანდარტის მიმართებაში ინდიკატორები 3.1.2.3; 3.4.1.1; 3.4.1.2; 3.5.1.4 არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ . არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორები 3.1.2.3; 3.4.1.1; 3.4.1.2 შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ხოლო ინდიკატორი 3.5.1.4 შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამისი“.

მეორე სტანდარტის მიმართებაში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ინდიკატორები 2.1.2.3 და 2.2.2.4 არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ასახულია სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში, 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის ვებ. გვერდზე ატვირთულ დოკუმენტებში. სკოლის მისი არის კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეების აღზრდა. სკოლის ხედვა კი წარმოადგენს კურსდამთავრებულების განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს დაიმკვიდრებენ შრომის ბაზარზე, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით. აქედან გამომდინარე სკოლას აქვს მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

მისიიდან გამომდინარე სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რადგან მისიაში სკოლა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოსწავლეების პიროვნულ ზრდას სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობით და სხვადასხვა მრავალფეროვანი პროექტის განხორციელებით, ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენას და მომავალი თაობისთვის 21-ე საუკუნის საჭირო კომპეტენციების განვითარებისთვის ხელშეწყობას, ხედვა კი მოსწავლეთა შესაძლებლობების თვითრეალიზაციას შემოქმედებითი და სპორტული აქტივობების ხელშეწყობით განსაზღვრავს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცდა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლითაც განისაზღვრა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და პროცესში ჩართული მხარეები. სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი. რომლის შემადგენლობაშიც არიან მასწავლებლები, მშობლები და საბაზო საფეხურის მოსწავლეები. სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისათვის შემუშავდა კითხვარი და გამოიკითხა სასკოლო საზოგადოება. კითხვარების გაანალიზების საფუძველზე სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სკოლის ფილოსოფიის პროექტი, რომელიც განხილულ იქნა სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოზე, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე მოხდა დოკუმენტის გადახედვა და საბოლოო სახით წარედგინა სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლას ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მექანიზმი, რომელშიდაც აღწერილია დოკუმენტის პროექტის სასკოლო საზოგადოების გაზიარებისათვის რეკომენდებული მექანიზმები: ელექტონული ფოსტა ან/და ღია შეხვედრა და საჯარო განხილვა ან/და სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს სხდომა ან/და სკოლის ვებ-გვერდი ან და სოციალური გვერდი ან/და საინფორმაციო დაფა. გარდა მეთოდოლოგიის მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხებისა, სკოლა აგრეთვე ითვალისწინებს შემდეგი გაზიარების მექანიზმებს: მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება ბეჭდურ მასალებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში; განთავსდება სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე; გაჟღერებული იქნება სკოლაში დაგეგმილ შეხვედრებზე, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომლებიც ორგანიზებული იქნება სკოლის მიერ. ამ ეტაპზე სკოლას მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებული აქვს სკოლის შენობის პირველ და მეორე სართულზე და სკოლის ვებ.გვერდზე. მიღებული უკუკავშირის შემდეგ მეთოდოლოგიის გათვალისწინებით სკოლა შეიტანს მასში ცვლილებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის შენობის პირველ და მეორე სართულზე, ასევე ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. 20/03/2024 წლის საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლა“, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის ვებ.გვერდი www.skolebi.emis.ge

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი;
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მშობელთა საერთო კრების ოქმი;
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-5 თავში „სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი მიდგომები“ - გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვისას გასათვალისწინებელი შემდეგი პრინციპები: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალეობა, ანგარიშვალდებულება. მეთოდოლოგიის მიხედვით

სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, პროცესი იწყება სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან ინფორმაციის შეგროვებით.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას დამტკიცებული აქვს 2024-2031 წლების „სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს მისიის, ხედვისა და ღირებულებეთან თავსებად მიზნებს, როგორიცაა სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, შემოქმედებითი გარემოს უზრუნველყოფა, ორგანიზაციული განვითარება. ასევე გეგმა მოიცავს ამ მიზნების შესაბამის ამოცანებსა და შესრულების პერიოდს. ხოლო ციკლურობა ასახულია მისიის, ხედვისა და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიაში, რომელიც ითვალისწინებს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მერვე თავი პუნქტი 13 განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის 2024-20245 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნებია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, შემოქმედებითი გარემოს უზრუნველყოფა, ორგანიზაციული განვითარება. ამასთანავე გეგმაში განსაზღვრულია მიზნის შესაბამისი ამოცანები, აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები, შესაბამისი რესურსები და შესრულების ვადები.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „მისიის, ხედვის, ღრებულებების და სრტატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ მე-12 თავი ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიაში სკოლას განსაზღვრული აქვს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორი ალტერნატიული გზა. მეთოდოლოგიაში დაკონკრეტებული არ არის ამ ეტაპზე სკოლა მონიტორინგის რომელ ალტერნატივას იყენებს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რჩევა: სასურველია სკოლამ „მისიის, ხედვის, ღრებულებების და სრტატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში“ აღნიშნოს მონიტორინგისა და შეფასების რომელ ალტერნატიულ გზას გამოიყენებს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მისიის, ხედვის, ღრებულებების და სრტატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის და გაზიარების პროცესის სქემა.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მონიტორინგისა და შეფასების ალტერნატიული გზების პუნქტები ითვალისწინებს ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის ვებგვერდზე განთავსებას და ანგარიშ(ებ)ის გაზიარებისთვის ასევე გამოიყენება მეთოდოლოგიის მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მისიის, ხედვის, ღრებულებების და სრტატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 თავი ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, რომლის მეოთხე პუნქტში აღნიშნულია, რომ შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ჩარჩო დოკუმენტში სკოლის სტრუქტურა წარმდგენილია შემდეგი სახით: სამეურვეო საბჭო, დირექცია - დირექტორი, ბუღალტერი; დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო - საგნობრივი კათედრები:

- დაწყებითი კლასები;
- ქართული, XIX-XX სს.დას.ლიტერატურა, უცხო ენები, ესთეტიკური საგნები;
- საბუნებისმეტყველო საგნები, ისტ-ი, მათემატიკა;
- საზოგადოებრივი მეცნიერებები.

მოსწავლეთა თვითმმართველობა - სამოქალაქო კლუბი, აგროკლუბი. საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, არასაშტატო ერთეულები - დამლაგებელი, ექთანი, დარაჯი. სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები განსაზღვრულია „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად, ასევე სკოლას დამტკიცებული აქვს დებულება „სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ“ და ასევე დოკუმენტი „სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციები“, რომელშიც აღწერილია სტრუქტურული პირების ფუნქცია/მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რჩევა: სასურველია სკოლამ დოკუმენტში „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები“ გაწეროს სკოლაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობები.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დასტურდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, სკოლის შინაგანაწესით, სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებით და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები/პირების ფუნქციების დოკუმენტში სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის გაწერილი ფუნქციები უზრუნველყოფს მათ შორის პასუხისმგებლობის განაწილებას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციები;
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლასა და პერსონალს შორის დადებული ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით და პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი აღწერს სკოლაში კადრების მოზიდვასა და შერჩევას, მასწავლებლის მასწავლებლის შერჩვას, ვაკანტური ადგილის შესახებ კონკურსის გამოცხადების პირობებს, პერსონალის კვალიფიკაციას, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, შესრულებული სამუშაოს შეფასებას, თანამშრომელთა მოტივაციას. შინაგანაწესი არეგულირებს სამუშაოს ხანგრძლივობის, სამუშაო ადგილზე გამოცხადების, შრომის ანაზღაურების, შვებულების, შრომის პირობების დაცვის, წახალისების, დისციპლინური წარმოების საკითხებს და ა.შ. ხელშეკრულებაში ასახული არის მხარეთა უფლება - მოვალეობები, შვებულების გაცემის წესი, სამუშაო ადგილი და დასვენების დრო, შრომის ანაზღურების, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ა. შ . სკოლის პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლისათვის საჭირო კადრის შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის გათვალისწინებითაც სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში არსებული ვაკანსია შეივსება შიდა კონკურსის საფუძველზე, საგნობრივი კათედრის ან კვალიფიკაციის გათვალისწინებით. როცა შიდა კონკურსი ვერ უზრუნველყოფს საკადრო დეფიციტის შევსებას, ცხადდება ღია კონკურსი. დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსების მიხედვით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი. შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლა საჭირო კადრის შერჩევის დროს ცდილობს იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი კადრის შერჩევის პროცედურის მიხედვით. კადრის შერჩევა ეყრდნობა საკონკურსო პრინციპებს, რისთვისაც სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საკონკურსო კომისიის შექმნის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, საკონკურსო ვადებისა და ეტაპების განსაზღვრის შესახებ. კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება პედაგოგთა დასაქმების ვებგვერდზე teachersjob.ge. სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის წესი. სკოლის ექიმის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ ინფორმაცია შეიცავს შემდეგ მონაცემებს: სკოლის დასახელება, ვაკანტური თანამდებობის დასახელება, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ინფორმაცია სამუშაო საათების შესახებ, შრომის ანაზღაურების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, სამუშაოს დაწყების თარიღი, განცხადების წარდგენის ბოლო ვადა.

პერსონალთა პირად საქმეში გათვალისწინებულია ინფორმაცია პერსონალის განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ. სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.09.2025 წ - 30.10.2025 წ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლის თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების: „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ წარმოდგენა.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულია 17 მასწავლებელი, მათგან 1 წამყვანი, 12 უფროსი, 1 მაძიებელი და 3 უსტატუსო სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და ტექნიკურ პერსონალს აქვს საჭირო კვალიფიკაცია; მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია სკოლის მიერ შემუშავებული **დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულებით** , რომელიც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რჩევა: უსტატუსო მასწავლებლების კომპეტენციის ვერ დადასტურების შემთხვევაში სასურველია სკოლამ 2025-2026 სასწავლო წლის დაწებამდე გამოაცხადოს ვაკანსია შესაბამის საგნებში.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი. საგნობრივმა კათედრებმა ერთმანეთის დახმარებით შეიმუშავეს კურიკულუმები, რასაც დაეფუძნა შემდეგი თანამშრომლობითი საქმიანობები. ასევე შექმნეს მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, შეარჩიეს სასწავლო რესურსები. ერთმანეთის დახმარებით შეძლეს გამოეკვეთათ ძლიერი და სუსტი მხარეები

და დაეგეგმათ სხვადასხვა ტიპის სამუშაოების ერთობლიობა. სკოლაში შექმნილია პედაგოგიური საბჭო, სადაც ერთობლივად განიხილება და მტკიცდება სასკოლო სასწავლო გეგმა-კურიკულუმი, სახელმძღვანელოებისა და რესურსების ნუსხა; იგი განიხილავს შინაგანაწესს, სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს, ამასთანავე სხვადასხვა მიმდინარე საკითხებს. სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო, რომელიც აქტიურად ასრულებს თავის ფუნქცია-მოვალეობებს. ყოველ წელს დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება ინვენტარიზაციის კომისია, რომელიც სკოლაში არსებულ მატერიალურ რესურსს აღრიცხავს. სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო, რაც გამოიხატება სკოლის წინაშე არსებული გამოწვევებისა და პრობლემების მოგვარებისას სასკოლო საზოგადოების ხშირ და აქტიურ ურთიერთთანამშრომლობაში. სკოლაში არსებული კოლეგიალური ორგანოები საგანმანთლებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის გუნდური მუშაობის პრინციპით ფუნქციონირებენ. პედაგოგიური საბჭო ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს თანამშრომლებს შორის კოორდინირებულ მუშაობას. საგნობრივი კათედრები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ კურიკულუმის შემუშავების და სასწავლო აქტივობების განხორციელების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლით გათვალისწინებულია სკოლაში დასაქმებული პირების წახალისების ფორმებს. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან დიდი მოცულობის სამუშაო შესრულებისათვის და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატეული გამოცდილების გაზიარება. პედაგოგები გამოცდილების გაზიარების მიზნით თანამშრომლობენ ერთმანეთთან, გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას და სხვადასხვა ერთობლივ პროექტებს. სკოლის მასწავლებლები მონაწილეობენ სკოლაში და რაიონულ დონეზე ჩატარებულ მასწავლებელთა კონფერენციებში (დაწყებითი განათლების პროექტ G-Pried-ის შემაჯამებელი კონფერენცია, პროექტ ,,ახალი სკოლის მოდელის“ დასკვნითი კონფერენცია...).სკოლის ფეისბუქ გვერდი რეგულარურად აზიარებს წარმატებულ გამოცდილებას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო ადამიანრი რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლასა და პერსონალს შორის დადებული ხელშეკრულებები;
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის პერსონალთა პირადი საქმეები;
მასწავლებლის ვაკანსიის ვებ. გვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-19 მუხლი არეგულირებს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების

მართვის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმასა და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს შემუშავებული პერსონალის განვითარების საჭიროებებზე მორგებული გეგმა. სასწავლო წლის დასრულებისას პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელ სხდომაზე განიხილება განვლილი სასწავლო წლის მონიტორინგის შედეგები, რომლის საფუძველზეც იქმნება მომდევნო სასწავლო წლის გეგმა, რომლშიც გათვალისწინებულია მასწავლებელთა საჭიროებები. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია პროფესიული განვითარების ზრდის მიზნით ხშირად გეგმავს და აფინანსებს საჭიროებაზე დაფუძნებული ტრენინგ-კურსების გავლას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, 2024-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-20 მუხლი ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებას. თანამშრომლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით გადამზადებისათვის ტრენინგებზე რეგისტრაციასა და დასწრებას. სკოლამ მაძიებელ მასწავლებელს განუსაზღვრა ტუტორი. ტუტორი ესწრება მასწავლებელს და ეხმარება კურსის დაძლევასა და პროფესიულ ზრდაში.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-18 მუხლში - ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტურად მართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. სკოლას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი: ა) ინიციატივის გაფორმება შესაბამის სტრუქტურასთან; ბ) ინიციატივის განხილვა, შესაბამისი რეაგირება; გ) პროცესისა და შედეგების მონიტორინგი და ანალიზი. მასწავლებლების ინიციატივით ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით სკოლამ შეიძინა მრავალფეროვანი დამატებითი საგანმანათლებლო რესურსი, რითაც წახალისდნენ ინიციატორი მასწავლებლები. სკოლამ შეიძინა საკითხავი ლიტერატურა (ქართულ ენაზე, უცხო ენაზე), სამხატვრო და ხელგარჯილობის მასალები, სპორტული ინვენტარი. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სამკომპონენტიანი შეფასებიდან ერთკომპონენტიან (შემაჯამებელი სამუშაო) შეფასებაზე გადასვლისას მასწავლებელთა მხრიდან გაჩნდა ინიციატივა, რომ ერთობლივი მუშაობით შემუშავებულიყო შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების რუბრიკის შაბლონი, ასევე განხილული ყოფილიყო მისი გამოყენების მექანიზმი, რათა შეფასების პროცესი უფრო გამჭვირვალე, მოქნილი, ეფექტური და შედეგიანი გამხდარიყო, რასაც თავისთავად დადებითად უნდა ემოქმედა მთლიან სასწავლო პროცესზე. აღნიშნული ინიციატივა მიღებული და წახალისებული იქნა დირექციისაგან. შედეგად შეიქმნა ერთობლივად შემუშავებული შეფასების რუბრიკა, რომელიც გაზიარდა სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რჩევა: სასურველია სკოლამ შემუშავებული შეფასების მოდელი განსაზღვროს სასკოლო სასწავლო გეგმაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის 2025-2026 სასკოლო სასწავლო გეგმა;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლი წლის ერთწლიანი სამოქმედო გემა;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნათა შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის საფუძველზე სკოლა განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს, რეგულაციებს, რომელიც გათვალიწინებული უნდა იყოს ხარისხის დაგეგმვის პროცესში და ასევე ვინ არიან პასუხისმგებელი პირები/ერთეულები სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე. აღწერილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა მიმდინარეობს - დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი - შეფასება და რევიზიის მიხედვით. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში ტარდება კათედრების შეხვედრები, დგება წლის სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც სკოლის დირექტორი შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელსაც ათანხმებს სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების დროს სკოლა ხელმძღვანელობს სასკოლო სასწავლო გეგმით. სემესტრის ბოლოს პედაგოგიურ საბჭოზე ხდება მიღწევების განხილვა და შედეგების ანალიზი. რეკომენდაციები გათვალისწინებულია მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისას.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში აღწერილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობით პროცესს წარმოადგენს: სტრატეგიული დაგეგმვა; წლიური დაგეგმვა; ხარისხის უზრუნველყოფა. ძირითად პროცესს: კურიკულუმის განვითარება; სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; არაფორმალური განათლების ორგანიზება და მართვა. ხოლო დამხმარე პროცესს კი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; მოსწავლის სერვისების განხორციელება; საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსების მართვა; ადამიანური რესურსების

მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კარიერული განვითარება.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესახებ. ასევე დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს, რომ სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სკოლის ადმინისტრაციასთან და კლასის დამრიგებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების მიხედვით. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში უზრუნველყოფს შინაგანაწესის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობას. შინაგანაწესი გამოკრულია პირველი სართულის საინფორმაციო დაფაზე, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამის გათვალისწინებით სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რჩევა: სასურველია სკოლამ შემუშავებული შინაგანაწესის მე-20 მუხლი მოარგოს სკოლის საჭიროებებს.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელის პირველი თავი განიხილავს მოსწავლისა და მოსწავლის მშობლის/მეურვის უფლებებს, რომელშიც აღნიშნულია სკოლის შინაგანაწესში და სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი უფლებები და სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მშობლის/მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების შესახებ, ხოლო მეორე თავი სკოლის პერსონალის კანონიერ უფლებებს, ასევე მასში აღნიშნულია სკოლის შინაგანაწესში და სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი უფლებები და სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის 2024-2025 სასკოლო სასწავლო გეგმა.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი და დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართვას სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში. ამის გარდა სკოლა უზრუნველყოფს საჯარო დოკუმენტების ხელმისაწვდომობას სკოლის ვებ გვერდზე ატვირთვითა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებით. ტარდება საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან, მათგან უკუკავშირის მიღების და რეაგირების მიზნით

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის სამეურვეო საბჭო შედგება სამი მასწავლებელის, სამი მშობელისა და ერთი მოსწავლისაგან. დისციპლინური კომიტეტი აირჩევა სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობიდან წარდგენილი თანაბარი რაოდენობის წევრებისაგან. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან, როგორც მასწავლებლები, ასევე რესურსცენტრის თანამშრომელი და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სკოლის ფილოსოფია, სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმები, ასევე დაკომპლექტებული იყო მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისგან.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის ეზოში მდებარეობს ერთი სასწავლო კორპუსი და გარე სპორტული მოედანი. სკოლაში უსაფრთხოების მიზნით შექმნილია მრჩეველთა საჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სკოლის დირექტორი, უფლებამოსილი პირი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე და ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი. მრჩეველთა საბჭო პერიოდულად მართვას სხდომებს და განიხილავს საკითხებს სკოლის უსაფრთხოებისა დ საზოგადოებრის წესრიგის დაცვის შესახებ. სკოლის შენობა აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო სისტემით, მაგრამ სკოლის მთლიანი შიდა და გარე პერიმეტრების დაფარვა ვერ ხდება. ეზოს ღობის მთლიანობა დარღვეული არ არის, უცხო პირთა გადაადგილებას სკოლაში აკონტროლებს სართულის მორიგე მასწავლებლები. დერეფნებში გამოკრულია მასწავლებელთა მორიგეობის სია. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია დოკუმენტი „ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოება, რომლის მე-7 და მე-8 თავი ეხება ფიზიკური უსაფრთოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს. სკოლას აქვს 20.03.2025 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. ასევე 13.06.2025 წელს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული

ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა სკოლის შენობის ამჟამინდელი მდგომარეობის(მდგრადობის) დამაკმაყოფილებლად და ექსპლუატაციისათვის უსაფრთხოდ ცნობის შესახებ. სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობამისობის მიზნით 2019 წელს მოხდა სკოლის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება, რომლის საფუძველზე სკოლამ მიიღო გარკვეული რეკომენდაციები ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლამ შეასრულა რეკომენდაციები: კერძოდ, სახურავში ხის კონსტრუქციები დამუშავდა ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით, განახლდა საევაკუაციო გეგმა, დამონტაჟდა საავარიო განათებები და ნიშნები საავარიო გასასვლელებთან. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სკოლამ კვლავ მიმართა წერილობით სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი სკოლას არ ჰყავს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა სკოლის მთლიანი პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვას, გეგმაში შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.09.2025 წ. – 01.04.2026 წ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით სკოლის მთლიანი ტერიტორიის დაფარვა.

რჩევა: სასურველია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ასევე ვიდეოსათვალთვალო სისტემის მონიტორზე წვდომა ჰქონდეს მხოლოდ დირექტორის ბრძანებით დაკისრებულ პირს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით შემუშავებული აქვს სამედიცინო პერსონალის სამუშაო სტანდარტი. სკოლას ხელშეკრულებით ჰყავს აყვანილი ექთანი, რომლიც პასუხისმგებელია პირველად სამედიცინო დახმარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შეძენილი აქვს სამედიცინო კაბინეტისათვის საჭირო ინვენტარი. ექთნის ოთახი ამ ეტაპზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი არ არის.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.09.2025 წ. – 01.04.2026 წ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ დროის ფარგლებში ექიმის ოთახი აღჭურვოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. სკოლას ჰყავს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი, რომელიც სასკოლო დროს მორიგე მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან ერთად ზრუნავს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. სკოლას ჰყავს ასევე ორი დარაჯი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს, შემდგომი რეაგირებისათვის. მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზების შესახებ ერთიან ანგარიშს, მასზე დაყრდნობით შეიმუშავებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს, შემდგომი რეაგირებისათვის და შესაბამისად ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს.რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

შინაგანაწესში განსაზღვრულია დარღვევის სახეები და შესაბამისი სახდელები. სკოლას შექმნილი აქვს ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-8 მუხლი ითვალისწინებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რჩევა: სასურველია მრჩეველთა საბჭოს სხდომები იმართებოდეს წლის მანძილზე არანაკლებ ოთხჯერ.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის ადამიანისა და პროცესების უზრუნველყოფის პილიტიკის დოკუმენტის ერთ-ერთი მიზანია ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა

საბჭო. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, ახორციელებს აქტივობებს, პროექტებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება.
სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები და ჰყავს ინსტრუქციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის თანამშრომლები იცნობენ ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის წარმოშობის გარემოებებსა და განსახორციელებელ ღონისძიებებს.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტის მე-9 მუხლი ითვალიწინებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს. სკოლის შენობის ნახევარ სარდაფში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები ქალებისა და კაცებისათვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლითა და პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას აქვს გამოცემული ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშვალდებულების განსაზღვრის შესახებ . 2025 წლის 21 მარტიდან ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. რომლის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ. გვერდზე.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია ინახება საქმისმწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმი. სკოლის მრჩეველთა საბჭო, განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს გასაუბრებისას და ოქმების დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნა არის დადასტურებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების შესახებ;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლასა და ექთანს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის დირექტორის მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების წესთან შესაბამისობის შესახებ;
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ.გვერდი;
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშვალდებულების განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მომზადებულია 20/03/2024 წელს, მიწის საკადასტრო კოდია N86.11.25.089. დაზუსტებული ფართობი 5838.00 კვ.მ. სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი იძლევა საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვის საშუალებას. სასწავლო შენობა სამსართულიანია. 2009 წელს სახელმწიფოს ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ სკოლის შენობა ნაწილობრივ განახლდა: შეიცვალა კარები და ფანჯრები, გარემონტდა პირველი და მეორე სართულის დერეფნები, შეიღება ფასადი, დამონტაჟდა საკვამურები. 2012 წელს სკოლის შენობის ნახევარ სარდაფში მოეწყო შიდა საპირფარეშო და შიდა სველი წერტილები. სამი სართული გამოიყენება სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. სკოლა აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. სკოლას აქვს 15 საკლასო ოთახი, სადაც ყველა ბავშვისთვის არის მერხი და სკამი, დაფები, მასწავლებლის მაგიდები და სკამები. სკოლა ბალანსზე აქვს 9 პროექტორი, კომპიუტერების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია მოძველებული კომპიუტერული ტექნიკით. 6 ლეპტოპი (ერთი დირექტორისთვის, ერთი ბუღალტრისთვისა და ოთხი მასწავლებლებისთვის), 4 ბუკი და 4 პერსონალური კომპიუტერი, მათ შორის, 1- საქმისმწარმოებელისათვის. სკოლას აქვს საჭირო ტექნიკით აღჭურვილი სააქტო დარბაზი და კეთილმოწყობილი, მდიდარი წიგნადი ფონდის მქონე ბიბლიოთეკა. ასევე აქვს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც ნაწილობრივაა აღჭურვილი. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს კაბინეტური სისტემით; სკოლის სპორტულ დარბაზად გამოიყენება მეორე სართულზე მდებარე ოთახი, რომელშიც განთავსებულია სპორტული ინვენტარი და ასევე ორი ჩოგბურთის (ტენისის) მაგიდა. ეზოში მდებარეობს შემოღობილი ადგილი სპორტული მოედნისათვის, რომლიც საჭიროებს რეაბილიტაციას. სკოლაში ვიზიტის დროს 43 მოსწავლე ირიცხებოდა. ამ ეტაპზე სკოლა სარეაბილიტაციოა.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, საატქო დარბაზი და სპორტული დარბაზი (60 კვ.მ) ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას აქვს დიდი ეზო, რომლის დიდ ნაწილზე განთავსებულია ხეხილის ბაღი, და მცირე ტერიტორიაზე განთავსებულია კენკროვანი კულტურების საცდელი ნაკვეთი. სპორტის გაკვეთილები ტარდება სასკოლო სივრცეში, სკოლას აქვს ფოიე, მისაღები, სადაც იატაკზე დახაზულია ჭადრაკის დიდი დაფა, მასზე განთავსებულია ჭადრაკის

დიდი ფიგურები. საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისათვის, მასწავლებლისა და მშობლისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია წიგნთა ფონდით მდიდარი კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა. სკოლას აქვს შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკის გამოყენებისა და მასში არსებული რესურსების სარგებლობის წესებს, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკის მუშაობის პრინციპი წესის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი , პროექტორით, ელექტრო პიანინოთ და საჭირო ინვენტარით, საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით, დაფებით. სპორტული აქტივობებისათვის მოსწავლეები იყენებენ მისაღების სივრცეში განთავსებულ დიდ საჭადრაკო დაფასა და საკლასო ოთახში მოწყობილ მაგიდის ჩოგბურთს. დერეფნებსა და კიბეებზე განთავსებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ შექმნილი ნახატები. ამ ეტაპზე სკოლაში არ არის რესურს ოთახი, მაგრამ სსსმ მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის შემთხვევაში არის გათვალისწინებული ოთახი, რომელიც შეიძლება მოწყობილი და გამოყენებული იქნას რესურს ოთახად. სკოლას არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის პირთა გადაადგილებისათვის პანდუსი, ლიფტი და არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.4 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.08.2025 წ. – 01.08.2027. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემო.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. გარდა გაკვეთილების პროცესისა, კაბინეტები გამოყენებულია სკოლაში არსებული წრეების შეხვედრებისა და მუშაობისათვის. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სკოლის ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სააქტო დარბაზში და სკოლის ეზოში იმართება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, მოეწყო ისეთი აქციები, როგორიცაა გარემოს დასუფთავება, ცნობიერების ამაღლება წყლის რესურსების გონივრულად გამოყენებისთვის, ჰიგიენის დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. სკოლაში ეწყობა კინოჩვენებები. სკოლა რამდენჯერმე მონაწილეობდა პროექტში ,,კინო სკოლაში". ფილმების ნახვის შემდეგ ეწყობა დისკუსიები; შედეგად მათ უყალიბდებათ გარკვეული ღირებულებები, დამოკიდებულებები და სოციალური უნარები. სკოლაში სასკოლო საზოგადოების ინიციატივით იგეგმება და იმართება სასკოლო ღონისძიებები: საახალწლო კარნავალი (პოეზიით, სპექტაკლებით, კულინარიით, ინტელექტუალური თამაშებით), სარვამარტო ღონისძიება, ბოლო ზარი, დაწყებითი კლასების ზეიმები და ა. შ. სკოლაში ფუნქციონირებს შემოქმედებით კლუბი, სადაც მოსწავლეები დროს ძალიან საინტერესოდ ატარებენ: გეგმავენ და ახორციელებენ შემოქმედებით ღონისძიებებს, სასკოლო სივრცის კეთილმოწყობა-გაფორმების აქტივობებს; აქტიურად მონაწილეობენ რეგიონალურ კულტურულ ღონისძიებებში.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის ინვენტარიზაცია;

სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი და ბიბლიოთეკის ანგარიში.

სკოლის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით, ყველა საკლასო ოთახში მდებარეობს ლეპტოპი, კომპიუტერული ტექნიკით ასევე აღჭურვილია ბიბლიოთეკა, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლისა და დირექტორის ოთახები.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რჩევა: სასურველია კომპიუტერულ ლაბორატორია განახლდეს ახალი კომპიუტერული ტექნიკით.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში სულ 12 ფინანსური კლასია და შედგენილი საათობრივი ბადის მიხედვით კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები არ ემთხვევა ერთმანეთს; კომპიუტერული ლაბორატორია ყველასთვის ხელმისაწვდომია.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება სასკოლო რესურსით/ლაბორატორიით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ.
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის ინვენტარიზაცია.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის წესს, ასევე მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე, ცნობებზე, ოქმებზე და სხვ. მუშაობის წესს. აღნიშნული წესი შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად eflow -ს სისტემაში აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას, სკოლაშიინახება მოსწავლის პირადი საქმის ასლი, მაგრამ არ ინახება კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებილი.

რჩევა: სასურველია მობილობით გადასული მოსწავლეთა პირადი საქმის ასლი ინახებოდეს სკოლაში შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე დოკუმენტბრუნვის სისტემა eflow. სადაც ხდება შემოსული და გასული კორესპონდენციის ელექტრონული წარმოება, დირექტორის ბრძანებების, სამსახურეობრივი ბარათების და წერილების ასახვა. სკოლა იყენებს Microsoft 365 -ის პლატფორმას, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისათვის, მშობლისა და მასწავლებლისათვის შექმნილი არის ანგარიშები. სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა: nikortsminda@mes.gov.ge

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებილი

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. Eschool-ის ბაზაში სკოლისათვის გამოყოფილი ყველა სივრცე შევსებულია შესაბამისი ინფორმაციით. ინფორმაციის განთავსება ხდება დადგენილი წესითა და ვადებით.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა კანონით გათვალისწინებულ ვადებში აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან ანგარიშვალდებულება, რომელიც მოიცავს ფინანსურ და ვერბალურ ნაწილს. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, აბარებს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ; ასევე ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აბარებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რჩევა: სასურველია სკოლის დირექტორმა 2024 წლის 10 დეკემბრამდე კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლი 43 „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სამეურვეო საბჭოს ჩააბაროს ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებაც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის საქმისწარმოების მეთოდოლოგია.

სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

Eschool -ის და Eflow - პლატფორმის ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი მისამართით: https://skolebi.emis.ge/, სადაც განთავსებულია გარკვეული სახის ინფორმაცია. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს Facebook-ის სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი. სკოლაში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სკოლის დირექცია, მასწავლებლები, დამრიგებლები საზოგადოებას მუდმივად აწვდიან ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ფარგლებში მიმდინარე აქტივობებზე. სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სკოლა სასკოლო საზოგადოებას ინფორმაციას აწვდის ასევე საინფორმაციო დაფების საშუალებით, რომლებიც განთავსებულია სკოლის დერეფნებსა და სამასწავლებლოში. გარდა ამისა, მშობლებს ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით შეუძლიათ მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია შვილების აკადემიური მოსწრებისა და მათი გაკვეთილებზე დასწრების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული ვებ.გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის სამუშაო სპეციფიკა სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფაა.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან უშუალო შეხვედრითა და სოციალური ქსელით კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა, ასევე სოციალური ქსელიდან, სადამრიგებლო კრებებიდან მიღებული უკუკავშირი ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის უფრო ეფექტიანად დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფლებული.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა სწავლება ახორციელებს ქართლ ენაზე და შესაბამისად სკოლის ვებ.გვერდზე http://bit.ly/4nZC2Es განთავსებული აქვს ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ. გვერდი შეიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩვრების მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია, სკოლის ბიუჯეტი.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის ვებ.გვერდი http://bit.ly/4nZC2Es
სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის facebook გვერდი.
სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მშობლების კითხვარი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდების სამინისტროსგან სკოლას ერიცხება მასწავლებელთა სახელფასო თანხა. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესულებას: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან გასაუბრებით და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლის შესყიდვების გეგმა მტკიცდება არაუგვიანეს 20 ნოემბრისა და აიტვირთება და რეგისტრირდება სახელმწიფო შესყიდვების გვერდზე. სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ePLAN-ში რეგისტრაციასა და მის შემდგომ კორექტირებაზე განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი. შესყიდვების გეგმის შემუშავებამდე სკოლის მიერ ხორციელდება რეალური საჭიროებების შესახებ დასაბუთებული/არგუმენტირებული ინფორმაციის თანამშრომლებისგან ოფიციალური ფორმით მიღება (შესაბამისი დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით); შესასყიდი საქონლისა თუ მომსახურების საჭიროების შესახებ მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდება სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება 31 დეკემბრამდე; იგი იგეგმება გამოკითხვისა და გასული წლების გამოცდილების გათვალისწინებით. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ბუღალტერთან ერთად განიხილება ბიუჯეტი და მომზადდება სამეურვეო საბჭოსთან წარსადგენად. ფინანსების განიკარგება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით გეგმავს ფინანსური რესურსების გამოყენებას. სკოლის რესურსები, ფინანსური თვალსაზრისით, მუდმივად კონტროლდება. მას მონიტორინგს უწევს სამეურვეო საბჭო. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი წარსდგება სამეურვეო საბჭოს წინაშე და აცნობს მას ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რჩევა: სასურველია სკოლამ წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები ასახოს ბიუჯეტში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი;
სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4;
სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის და წლიური შესყიდვების ფორმის დამტკიცების შესახებ;

სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში შექმნილია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, პერსონალის დაცვის დებულება, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელშიც განსაზღვრულია მოსწავლეთა დისციპლინური წარმოების წესი, წახალისების ფორმები. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სადამრიგებლო პროგრამები ითვალისწინებს დარღვევებს, დისციპლინას, მოსწავლეთა ჩართულობით შემუშავებულ ქცევის წესებს. სკოლას ასევე აქვს დამტკიცებული რემედიაციის პროგრამის დებულება, რეფერირებისა და მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სასკოლო რეგულაციებს კლასის დამრიგებლები მშობლებს აცნობენ მშობელთა კრებაზე, მოსწავლეებს კი - კლასის საათზე. სასკოლო რეგულაციები ასევე გაზიარებულია ვებ გვერდზე. გარდა ამისა, ყველა მასწავლებელს მოსწავლეთა ჩართულობით შემუშავებული აქვს და საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილას განთავსებული აქვს მოსწავლეთა ქცევის წესები

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლა თითოეულ მოსწავლის მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს კანონმდებლობის შესაბამის გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულება მშობელთან ფორმდება მოსწავლის ჩარიცხვისას და ძალაშია სწავლის დასრულებამდე, ან მოსწავლის ამორიცხვამდე/სტატუსის შეჩერებამდე. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, აგრეთვე მოსწავლეთა უფლება მოვალეობებს, სასწავლო დღეების, დასვენების დღეების და უქმე დღეების შესახებ ინფორმაციას, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინის საჯარო სკოლის დებულება რეფერირების შესახებ;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინის საჯარო სკოლის ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინის საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის ნდებულება;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინის საჯარო სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელკშეკრულება.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება კლასის დამრიგებლის ოქმი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება დირექტორის ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის საფუძველზე. რომელიც აისახება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის დროს ფორმდება მშობელსა და სკოლას შორის ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებს სტატუსის შეწყვეტამდე/მოსწავლის ამორიცხვამდე.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა მოსწავლის მშობლებს /კანონიერ წარმომადგენლებს სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს შინაგანაწესს, შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერსებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომია. სკოლა აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების შესახებ მშობელთა კრებებსა და სოციალური ქსელის საშუალებით. სკოლაში სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივებით შექმნილია კლუბები: შემოქმედებითი, სამოქალაქო კლუბი და აგრო-კლუბი. კლუბის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება სასკოლო საზოგადოებაში. სკოლაში ამ ეტაპზე მოქმედებს სხვადასხვა უფასო წრეები: ლიტერატურულ-კალიგრაფიული, ხელგარჯილობის, ინტელექტუალური, სპორტული.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მაქსიმალურად ცდილობს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ იყოს ობიექტური და სწორი, არ შელახოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები. სკოლის შესახებ სიახლეებს მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები ეცნობიან მშობელთა კრებებიდან, საინფორმაციო დაფაზე გამოკრული ინფორმაციიდან სკოლის სოციალური გვერდიდან.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის შინაგანაწესი.
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი.
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორ ხდება პირველკლასელთა, მობილობით გადმოსულ და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეების გარემოსთან ადაპტაციის ვალდებულებას იღებს სკოლა და კლასის დამრიგებელი, ასევე მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობაც. სკოლის 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ტრანზიციის მხარდამჭერ აქტივობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. პირველკლასელებს და სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით. სასწავლო წლის დაწყებისას პირველ დღეს სასწავლო პროცესი ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ფოიეში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების მიზანია სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება. ეს აქტივობებია: საკლასო ოთახების ლამაზად მოწყობა, სასკოლო გარემოს დათვალიერება, ბიბლიოთეკის, სააქტო დარბაზის, დირექციის, კომპიუტერული ტექნოლოგიების ოთახისა და სპორტის დარბაზის დათვალიერება. სკოლაში მობილობით გადმოსულ მოსწავლის ადაპტაციის პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, ინტერესის და ინდივიდუალობის შესახებ, ამ ინფორმაციას აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით.

ინდიკატორის მოთხოვნმა არის დაკამყოფილებული.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ შექმნილი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი და დამრიგებლის დებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. გასაუბრებით დგინდება, რომ სემესტრის მიმდინარეობისას კლასის დამრიგებელბი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობები, მოტივაციის ამაღლების მიზნით მათი ჩართვა სასკოლო ღონისძიებებში და საგანამანთლებლო პროექტებში. სკოლას მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მხარდასაჭერად შემუშავებული აქვს რემედიაციის დებულება, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი პროგრამის ეტაპები: რემედიაციის პროგრამაში ჩასართავ მოსწავლეთა იდენტიფიცირება; პროცესთან დაკავშირებულ მხარეებთან (ადმინისტრაცია, ოჯახი, სხვა მასწავლებლები) კომუნიკაცია და თანამშრომლობა; სამუშაო ფორმატის შემუშავება (გაკვეთილში ჩაშენებით, გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით); სარემედიაციო სივრცის მოწყობა (თუ რემედიაცია ხორციელდება გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით); სასწავლო რე-

სურსებისა და აქტივობების შერჩევა-მომზადება; მეცადინეობების ჩატარება (თუ რემდიაცია ხორციელდება გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით), აქტივობების განხორციელება; რემედიაციის პროცესის დიაგნოსტირება, ანალიზი, პროგრესის მონიტორინგი; რემედიაციის პროცესის შესახებ ანგარიშის მომზადება.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლის 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემებს. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, შექმნილი აქვს გარემო, რომელიც ეხმარება მათ მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარებაში და შემოქმედებითი უნარის გაუმჯობესებაში. სკოლა ჩართულია სასკოლო და მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ პროექტებში.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

რჩევა: სასურველია სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვროს სკოლაში წლიური, სემესტრული, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები და ასევე ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სივრცის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა აქტიურად უჭერს მხარს მოსწავლეთა ინიციატივებს, როგორც სპორტულ ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში. სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები. მოსწავლეებს შეუძლიათ წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი ინიციატივა. მოსწავლეს ან/და მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს შეუძლია ინიციატივით მიმართოს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას/კლასის დამრიგებელს/დირექციას და ჩაერთოს

ინიციატივის განხილვის პროცესში, მოსწავლეთა თვითმმართველობა ან/და კლასის დამრიგებელი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მოსწავლის ან/და მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივას და მიმართოს სკოლის დირექციას; სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, აგრო-კლუბი, შემოქმედებითი კლუბი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საინტერესო პროექტები. მოსწავლეთა ინიციატივების განსახორციელებლად სკოლას შეუძლია ფინანსური რესურსის მობილიზება, სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური სამუშაო სივრცის მოწყობასა და საინფორმაციო კამპანიას. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების ბარათი.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში პერიოდულად ტარდება მოსწავლეთა გამოკითხვა, რის საფუძველზეც დგინდება, ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშემწყობი ცვლილებები და ახალი მიმართულებები. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივები ბარათი, რომლის საშუალებით მიღებული უკუკავშირის შედეგად იგეგმება და ხორციელდება პროექტები, რომლებიც მრავალფეროვანი და ეფექტურია. ერთ-ერთი მაგალითია საფეხურების მიხედვით სკოლის მიერ ორგანიზებული და დაფინანსებული ექსკურსიები. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივები ბარათი, რომლის საშუალებით მიღებული უკუკავშირის შედეგად, მოხდა სკოლის ხელშეწყობით და მოსწავლეთა დახმარებით, სასმელი წლის პრობლემის მოგვარება, ნაკვეთის დამცავი სისტემის განახლება და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

მოსწავლეთა ინიციატივების ბარათი;

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;
სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის დამრიგებლის ანგარიში.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ მომსახურებას უწევს კლასის დამრიგებელი. იგი ატარებს სადამრიგებლო საათს და აწვდის მათ მნიშვნელოვან ინფორმაციას აღნიშნულ საკითხებზე. ამასთან ერთად სკოლის ადმინისტრაცია აქტიურ შეხვედრას მართავს მშობლებთან და ესაუბრება მათ სწავლისა და პროფესიის დაუფლების მნიშვნელობაზე. სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებების გარკვევის მიზნით სკოლა თანამშრომლობდა სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებელთან „ერქვანი“, ღვინის ქარხანასთან. სასკოლო გარემოს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს სასკოლო სივრცეში სთავაზობს უფასო წრეებს, სადაც მათ შეუძლიათ განივითარონ შემოქმედებითი უნარები და შექმნან შემოქმედებითი პროდუქტი.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის საგნობრივი კურიკულუმები და დაგეგმილი აქტივობები, სტუმრობა პროფესიულ სასწავლებელში, საწარმოში საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მიიღონ ინფორმაცია შემდგომი კარიერული განვითარების შესახებ.
ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრებით დგინდება, რომ ღონისძიებისა და პროექტის განხორციელების შემდეგ სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების შემდეგ შეგროვილი ინფორმაციის გათვალისწინებით იგეგმება შემდგომი აქტივობები.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საგნობრივი კურიკულუმები;

მასალები პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი, მაგრამ 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული აქვს ინკლუზიური განათლება. კერძოდ, ვინ შეიძლება იყოს სსსმ პირი, ინდივიდუალური გეგმის შედგენის შესახებ, სსსმ პირთა შეფასების, დასწრებისა და გაცდენების შესახებ, შინ სწავლება. ამასთანავე მოსწავლის ადაპტაციის დოკუმენტში აღწერილია სსსმ პირთა ტრანზიცია სასკოლო ცხოვრებაში. სკოლა მზაობას აცხადება შეუდგინოს და ასწავლოს მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

რჩევა: სასურველია სკოლამ პერსონალი გადაამზადოს ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის მიერ შემუსავებული ეგულაციები სსსმ პირთა შესახებ ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობით პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (ტრანსპორტირების სერვისი, უფასო წრეები ინტელექტუალურ-შემოქმედებითი და სპორტული მიმართულებებით) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე;

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; ყოველი პროექტი და ინიციატივა განიხილება სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

სკოლაში შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სკოლა მოსწავლეებს დამატებითი არასავალდებულო მომსახურეობის მიზნით სთავაზობს მხოლოდ წრეებსა და კლუბების სახით.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

.

სკოლის მიერ მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**
   სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, პრიორიტეტები და შეხედულებები. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მასწავლებლებისა, მშობლებისა და ადმინისტრაციის ჩართულობით, რაც გაწერილია უშუალოდ დოკუმენტში. შინაარსობრივი ნაწილი ეფუძნება გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვას და წარმართვას.
   ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**
   სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რის მიხედვით შექმნილია კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც წარმოდგენილი შინაარსობრივი ნაწილი გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერსებისა და სურვილების გათვალისწინებით შეიქმნა. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მიხედვით მუდმივად ხორციელდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი, რაც ხელს უწყობს თითეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას, სადაც ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება.
   ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**
   სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია

კათედრების ყველა წევრი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის განვითარება. კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, რაც საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოსწავლეთა მიღწევები, საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი ასახონ კურიკულუმებში.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის გაცნობისა და პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნის პროცესში ჩართულია კათედრის ყველა მასწავლებელი, მათ გაითვალისწინეს მოსწავლეთა საჭიროებები, რაც ასახეს სასკოლო კურიკულუმებში შემოქმედებითი ბუნების დავალებების მიხედვით, რის ნიმუშებიც წარმოდგენილია თითოეული საგნის მიხედვით.

ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- შემოქმედებითი ბუნების ტიპის დავალების ბარათები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეების ნამუშევრები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო შედგენილია გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით. ცალკეული საკითხები მუშავდება კომპლექსური დავალებებით. სადაც ჩანს მოსწავლეებისათვის ნაცნობი ცხოვრებისეული კონტექსტების გათვალისწინება და სამიზნე ცნებასთან კორელაცია. **რჩევა: გამოყენებული იქნას მე-2 და მე-5 კლასის კურიკულუმის შედგენისას მიღებული გამოცდილება და მოხდეს მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმში თემებისა და საკითხთა გადაჯგუფება. ზოგიერთ შემთხვევაში კონტექსტ მაგალითების დაკონკრეტება ნაცვლად წარმოდგენლი ზოგადი ფრაზებისა მაგ: ინფორმაციის დამუშავება და წარდგენა.** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურზე დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. კურიკულუმებში გათვალისწინებულია საგნობრივი თემები, რის მიხედვით ასახულია მოკლევადიანი (შუალედური) და გრძელვადიანი მიზნები, რის მიხედვით მოსწავლეს მოახდენს შემოქმედებითი პროდუქტი შექმნას და საგნობრივი სტანდარტის კონკრეტულ შედეგზე გასვლას, რაც ასევე მკაფიოდ არის ასახული კურიკულუმის ჩარჩოში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.** **რჩევა: მე და საზოგადოების (მე-3 და მე-4 კლ) კურიკულუმებში მკაფიოდ გამოკვეთეთ ყველა გრძელვადიანი მიზანი და მათთან დაკავშირებული შინაარსობრივი კომპონენტები; ასევე მე-7 და მე-8 კლასის მოქალაქეობის კურიკულმებში მკაფიოდ გამოკვეთეთ ყველა გრძელვადიანი მიზანი და მათთან დაკავშირებული შინაარსობრივი კომპონენტები.**
უცხოური ენები	უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, გერმანული, რუსული) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს კურიკულუმებს. შეტანილი თემები (კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით)

	მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა სამივე საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებული ესთეტიკური აღზრდის საგნების (ხელოვნება, მუსიკა) კურიკულუმებში ამოიკითხება, რომ კურიკულუმი არის მოსწავლეზე და პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის წარმმართველ ძალას. სასწავლო პროცესში წარმოდგენილი თემები და შემოქმედებითი დავალებები სამივე საფეხურზე იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მოსწავლის განვითარების საწინდარია. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის კურიკულუმებში ასახულია თემები, რომლებზეც მუშაობს კათედრა, წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. თავდაპირველად გამოგზავნილ კურიკულუმებში დაფიქსირდა ცალკეული ხარვეზები, რომელთა შესახებაც შეხვედრისას კათედრას ეუწყა. კათედრასთან შეხვედრისას აღნიშნეს, რომ გააზრებული აქვთ ხარვეზები, რომლებიც შეინიშნება მათ სასწავლო გეგმებში და რომ იმუშავებენ მათ დახვეწაზე, რის დასტურადაც მასწავლებლებმა დამატებით გამოგზავნეს სწორად და სულად შევსებული კურიკულუმის ნიმუშები. **რჩევა: სასურველია, კათედრამ კურიკულუმის შედგენისას საბაზო საფეხურზეც იხელმძღვანელოს ცნებათა იმ ფორმულირებით, რომელიც დღეს არის მიღებული.** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა მათემატიკის კურიკულუმი სამივე საფეხურზე, რომელშიც ესგ-ს შესაბამისად გაწერილია თემები, თემასთან დაკავშირებული საკითხები, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, რომელთა გააზრებაც მოსწავლეზე ორიენტირებული შედეგის მიღწევის წინაპირობაა, შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით კათედრა იყენებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც ერთ-ერთი გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის. დავალებების შერჩევისას, როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, ითვალისწინებენ: სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას. დავალებები მოიცავს მოსწავლის რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე მეტაკოგნიტური უნარების განვითარების მიზნით და მოითხოვს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური სწავლების პრინციპები. ყოველივე ზემოთხსენებული გვაძლევს საფუძველს აღვნიშნოთ, რომ შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა: მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთ დაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე ინტეგრირებული შუალედური, შემოქმედებითი დავალებები. სასურველია STEM პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაც.** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	სამივე საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენ სმოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს, ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა დათვითკონტროლის განვითარებაზე.

	ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია შუალედური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. წარმოდგენილ კურიკულუმში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სკოლის მისიას. გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში სამივე საფეხურზე მოცემულია სავალდებულო თემები, საკითხები და სამიზნე ცნებები(თემის ფარგლებში სრულად). კომპლექსური დავალების პირობა სხვადასხვა კლასის მიხედვით და შეფასების რუბრიკები. კურიკულუმის ჩარჩოთი დგინდება , რომ პედაგოგები სხვადასხვა საკითხის სწავლებისას იყენებენ დამატებით სასწავლო ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. დაწყებით საფეხურზე ვიზიტის შემდეგ დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში მოცემულია გაწერილი კომპლექსური დავალებები. **რჩევა: სასურველია კომპლექსური დავალების იდეებისა და კონტექსტ მაგალითების ნათლად წარმოდგენა არსებობის შემთხვევაში.** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამივე საფეხურის კურიკულუმებში ასახულია გრძელვადნი მიზნები- სამიზნე ცნებები, რომლებიც მუშავდება ესგ-ის მიხედვით განსაზღვრული თემატური ერთეულების ფარგლებში კონკრეტული საკითხების მიხედვით, სადაც ცოდნის გამთლიანებას მოსწავლე მოახდენს შემოქმედებითი ტიპის დავალებების ფარგლებში, რომლის მტკიცებულებები კათედრამ წარმოადგინა. შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, გერმანული, რუსული) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში თემები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან სამივე საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული საწავლო თემა, საკითხი, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს სამივე საფეხურზე. თითოეულ თემასა და საკითხში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და ქვეცნებები. კომპლექსურ - შემოქმედებით დავალებებზე მუშაობით ხდება არა მხოლოდ საგნობრივი კომპეტენციების, არამედ გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებაც. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.** **რჩევა: 1. სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მოცემულ თემებს მითითებული ჰქოდეს სტანდარტით განსაზღვრული შესაბამისი სავალდებულო თემატური ბლოკის სახელწოდებაც, დაწყებით საფეხურზე- მე და გარესამყარო, ადამიანები და ხელოვნება, ხელოვნება ჩვენ გარშემო; საბაზო საფეხურზე- გარემო და ხელოვნება, ადამიანი ხელოვნებაში, საზოგადოება და ხელოვნება.** **რჩევა: 2.სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში კომპლექსური დავალების იდეა/პირობის გრაფაში მითითებული იყოს არა მხოლოდ პროდუქტის სახელწოდება (მაგალითად, პეიზაჟის შექმნა), არამედ რა ხერხებითა და საშუალებებით, რა ცნებებზე დაყრდნობით უნდა შეიქმნას აღნიშნული პროდუქტი (მაგალითად,დახატე გრაფიკული ან ფერწერული პეიზაჟი, რომელშიც ასახავ გარემოდან მიღებულ შთაბეჭდილებას. განწყობის გადმოსაცემად გამოიყენე შენთვის სასურველი ფერები (ძირითადი, შედგენილი, ცივი, თბილი). ხაზები (მაგ., სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, მრუდი, დიაგონალური, სქელი, წვრილი).**
სახელმწიფო ენა	კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებსა და ინდიკატორებს, რისი მანიშნებელიცაა ე.წ. კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება, კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები გაწერილია სამიზნე ცნებებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების სახით (მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). სამივე საფეხურზესამიზნე ცნებები მიემართება ესგ-ით გათვალისწინებულ საფეხურებრივ შედეგებს.

	ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმი სამივე საფეხურზე შედგენილია ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების, საკითხების/საკითხთა კლასტერის შესაბამისად. გაწერილია სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, სასწავლო რესურსები. შუალედური მიზნის მიღწევის მიზნით , წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით გაწერილია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითებით. წარმოდგენილია რამდენიმე განსახორციელებელი კომპლექსური დავალების პირობა და შეფასების რუბრიკები. კურიკულუმში შეინიშნება გარკვეული უზუსტობები ზოგიერთ კლასებში, მაგალითად: III კლასში საკითხები არ არის ფორმულირებული სტანდარტის შესაბამისად, მაგალითად **თემაზე** რიცხვების გამრავლება და გაყოფა გაწერილია **საკითხი**-წერითი დავალების შესრულება, ტესტები **; კონტექსტ მაგალითებში** გაწერილია პარაგრაფები და მეტნაკლებად საკითხები; **დავალების იდეა** უმეტესწილად გაურკვეველია, მაგალითად: კვლევა, წერა, პატარა ფინანსისტი...რამდენადაც მრავალფეროვანი იყო რესურსები პირველ და მეორე კლასში იმდენად მწირია მესამეში-ძირითადად მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოა და მხოლოდ რამდენიმე ელ რესურსის ლინკი. V კლასში თემები და მათი შესაბამისი საკითხები საჭიროებს დაზუტებას ესგ-ს სტანდარტის შესაბამისად. კურიკულუმის ჩარჩოს ახლავს დავალების „მსოფლიოს 10 უდიდესი ქვეყანა..“ პირობა, თუმცა დავალების იდეა არ არის ჩარჩოში გაწერილი. რამდენიმე კლასში სრულად არ არის გაწერილი ყველა სავალდებულო თემა, ასევე ბუნდოვანია და რიგ შემთხვევებში შეუსაბამოა შუალედური დავალებები. თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები არ არის შესაბამის სვეტებში გაწერილი(არეულია), კათედრის წევრებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ ზემოთ ხსენებული უზუსტობები მხოლოდ ტექნიკური ხარვეზია და აუცილებლად გასწორდება, ასევე აღინიშნა, რომ სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, როგორც განხორციელებული, ასევე მომავალში დაგეგმილი დავალებების შესრულება უზრუნველყოფს მოსწავლე ჩაერთოს კომუნიკაციაში, იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნის ან პრობლემის გადაჭრისას გამოამჟღავნოს შემოქმედებითობა, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი და რეფლექსია მის ხასიათსა და პიროვნებას აყალიბებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

	რჩევა: სასურველია ყველა კლასში კათედრამ იმუშაოს ერთად შემუშავებულ კურიკულუმის ჩარჩოში. ცნებები/ ქვეცნებები, თემები, საკითხები, კონტექსტ მაგალითები და დავალებები გავწეროთ ესგ-ეს შესაბამისად და განვათავსოთ შესაბამის სვეტებში; კურიკულუმის ჩარჩოში სრულად გავწეროთ საფეხურის ფარგლებში შესასწავლი ყველა სავალდებულო თემა. კონტექსტ მაგალითები ყოველთვის ისე შევარჩიოთ, რომ ეხმარებოდეს მოსწავლეს შუალედური დავალების გაგება- გააზრებაში. მეტი სიცხადისა და გარკვეულობისთვის სასურველია კურიკულუმის ჩარჩოს თან დაურთოთ შუალედური დავალების პირობები (უმჯობესია ეტაპებად გაწერილი) შესაბამისი, ცნებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით.
სპორტი	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში. როგორიცაა ძალა, სისწრაფ, გამძლეობა და სხვა., ორგანიზებულობა და თვითკონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	II-VI კლასის ჩათვლით კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში წარმოდგენილი იდეა/პირობა შუალედური მიზნის დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (სამიზნე ცნება, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, შუალედური მიზანი, რესურსი) მიხედვითაა. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები რეალიზდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე: ა) სიღრმისეული სწავლა; ბ) პოზიტიური სასწავლო გარემო; გ) ინკლუზიური განათლება.

	კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები. **რჩევა: სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება, აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები და დავალების იდეა/პირობა, განსაკუთრებით, მათემატიკის საგნობრივი მიმართულებით.** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით(კურიკულუმის ჩარჩო, ელექტრონული რესურსების ნუსხა მითითებული ლინკებით) მოცემულია თემის ფარგლებში და სამიზნე ცნებასთან მიმართებით როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული რსეურსი. სკოლას აქვს ლაბორატორია აღჭურვილი სხვადასხვა საგანმანათებლო რესურსით, მაგრამ არ აქვს დამონტაჟებული გამწოვი, დამცავი მაგიდა და ონკანი, რაც ვერ უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.08.2025 წ. – 01.08.2026 წ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

	რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ცდების ჩასატარებელი შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში რესურსების სვეტში ასახულია სასწავლო რესურსები, რომელიც საშუალებას იძლევა დამუშავდეს შემოქმედებითი ტიპის დავალება კონკრეტული საკითხის ფარგლებში. კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მეთოდურად მორგებულია თემებსა და საკითხებზე, კათედრის მიერ ასევე შექმნილია რესურსების დოკუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე უცხოური ენების კათედრის წევრები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (გერმანული, რუსული) მასწავლებლები, წლის დასაწყისში მსჯელობენ კურიკულუმების განვითარებასთან დაკავშირებით, აჯამებენ საკუთარი კლასების მიღწევებს და საჭიროებებს; საუბრობენ საკუთარ საგნობრივი კურიკულუმების განვითარების მიმართულებებზე. ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და შეიმუშავებენ მომავალი წლის საგნობრივ კურიკულუმებს; ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. მასწავლებელები კომპიუტერების,პროექტორების საშუალებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებს აუდიო-ვიდეო რესურსებით სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე ესათეტიკური აღზრდის საგნებში შერჩეული სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი თვალისწინებს სასწავლო მიზნებს, კერძოდ, სასწავლო პროცესში გამოიყენება საინტერესო, მრავალფეროვანი, მიზანმიმართული რესურსი,

	რომელის იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა გრიფირებული სახელმძღვანელოსთან ერთად იყენებს სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსს თემატიკის შესაბამისად შერჩეული დამატებითი ლიტერატურაა - ტელესკოლის ვიდეო-გაკვეთილები, G-Pried-ის მასალები (მატერიალური და ,,კარგი სკოლის" ვებგვერდზე განთავსებულ თვალსაჩინოებები), ფილმები. **რჩევა: სასურველია, რომ კურიკულუმებში ძირითად მასალად უფრო მეტად გრიფირებული სახელმძღვანელოს მასალა იქნას გამოყენებული, ხოლო სხვა რესურსები დამატებით მასალებად.** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ კურიკულუმში ცალკეული თემის ფარგლებში გაწერილი როგორც მატერიალური ასევე ელ რესურსები შესაბამისობაშია სამიზნე ცნებასთან და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას **რჩევა: სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სახელმძღვანელოს მითითებისას უმჯობესია მივუთითოთ გვერდები და პარაგრაფები, ელექტრონული რესურსებისთვის კი ლინკები.** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

სპორტი	სკოლას აქვს პრობლემა ინფრასტურქტურასთან დაკავშირები, ვინაიდან და რადგანაც არ გააჩნიათ დახურული დარბაზი და ღია მოედანი. არსებულ დიდ ოთახში ტარდება რამდენიმე სპორტის სახეობა. სკოლას აქვს სპორტული ინვნეტარი რომელსაც მაქსიმალურად იყენებენ ბავშვებთან მუშაობის დროს. მაგალითად მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები, ჩოგნები, ბურთები და ა. შ. ბავშვების სიმცირედან გამომდინარე არსებული რესურით ახერხებენ შედეგზე გასვლას. **სკოლაში ღია სპორტული მოედანის არ არსებობის გამო ინდიკატორი 2.1.2.3 არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ , სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.08.2025 წ. – 01.08.2026 წ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.** ***რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ღია სპორტული მოედნის მოწყობა.***
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი https://school.emis.ge/, **https://scratch.mit.edu/**, Code.org, 3DPaint, Sway, ,,ვსწავლოთ თამაშით”, PowerPoint, Word, Excel, და სხვა უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე-დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი.

	რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. რჩევა: სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგები იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ მოსწავლეებს აძლევენ სხვადასხვა სირთულის დავალებებს. მოსწავლეთა საჭიროების იდენტიფიცირებას და ინდივიდუალურ მიდგომას ხელს უწყობს მცირერიცხოვანი კლასები **რჩევა: სასურველია სამივე საფეხურზე არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები აისახოს კურიკულუმში.** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობითა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ახდენს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომას და კურიკულუმის შექმნის პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს, მზაობასა და შესაძლებლობებს. რაც იძლება მოსწავლეზე ინდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწიენებასა და მასზე სასწავლო პროცესის მორგებას სამივე საფეხურზე.

	ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი დავალებების იდეები(რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. სასწავლო პროცესში აუდიო-ვიდეო რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის სხვადასხვა სტილის მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლების ხელშეწყობას. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც „სკოლა“ დაინტერესებულია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების სსსმ მოსწავლეების ჩართულობას. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებული იქნეს იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს სხვადასხვა ტიპის ბარიერის არსებობა. ეს წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსწავლეს, ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზებისგან დამოუკიდებლად, გააჩნია სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის პროგრამა. რემედიაციის პროგრამა ორიენტირებულია მასში ჩართული თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე და ესგ-ის სტანდარტების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი ინტერვენციები. პროგრამაში მონაწილეობენ ისეთი მოსწავლეები, რომელთათვისაც სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული უნარ-ჩვევების დასაუფლებლად საკმარისი არ არის; **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლებთან გასაუბრების პროცესში, ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული ინკლუზიური განათლების დოკუმენტში გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურზე სკოლა მზადაა მოსწავლეებისთვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად,

	სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო პროცესს, მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზების და აქტივობების გამოყენებით. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც ითვალისწინებს ყველა მოსწავლის ჩართვას სწავლა--სწავლების პროცესში თავისი შესაძლებლობების და ინტერესების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	კათედრა დიფერენცირებულ მიდგომებს იყენებს, რაც აისახება შერჩეულ სასწავლო რესურსებში, თემებში; სკოლა ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში ჩართული იყო usaid-ის მიერ განხორციელებულ პროექტში, ლიდერი მასწავლებლის პროგრამა“, ამ პროექტში მონაწილეობის დროს მასწავლებლები დაეუფლნენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს. პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო რესურსებს სამივე საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა რომ სამივე საფეხურზე მათემატიკის კათედრა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს. გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. მოსწავლეტა საჭიროების იდენტიფიცირებას ხელს უწყობს მცირერიცხოვანი კლასები, კათედრის მიერ ორგანიზებული დიაგნოსტიკური წერები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს რემედიაციული სწავლების დებულება. სწავლება მიმდინარეობს გაკვეთილში ჩაშენებით, გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	სამივე საფეხურზე მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ

	შესაძლებლობზე. საჭირეობიდან გამომდინარე მასწავლებლებს აქვთ გამოციდლება და უნარი გაითვალისწინონ ბავშვების ინდივიდუალური შესაძლებლობები, მათი საჭიროები და ამის მიხედვით დაგეგმონ გაკვეთილები. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს, რომ წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას უწყობს ხელს. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინკლუზიურ მიდგომებს. **რჩევა:** სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები აისახოს კურიკულუმებში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას.განმსაზღვრელი შეფასებით ფასდება როგორც შემაჯამებელი , ასევე საშინაო და საკლასო დავალებები,

	რაცმითითებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. კათედრის დოკუმენტაციაში მოცემულია კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები.როგორც გასაუბრებისას აღინიშეს , ძირთადად მიმართავენ განმავითარებელ შეფასებას ზეპირსიტყვიერი ფორმით. **რჩევა: სასურველია სამივე საფეხურზე შემუშავდეს რუბრიკები, რომელიც გაწერილი იქნება თემის ან სასწავლო საკითხების მიხედვით , მკაფიოდ გამოკვეთილი კრიტერიუმებით სამიზნე ცნებასთან და სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სამივე საფეხურზე (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) რომლებიც აგებულია გრძელვადიანი მიზნების პრინციპებით. განმსაზღვრელ შეფასებას მინიჭებული აქვს ქულები, ხოლო განმავითარებელი შეფასება კონკრეტული თემის/საკითხის მიხედვით ახდენს მოსწავლის მიღწევების ანალიზს და საჭირო უკუკავშირის გაცემის შესაძლებლობას. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ეყრდნობა გრძელვადიან სასწავლო მიზანსა და წარმოდგენილია ესგ- ის პრინიპებთან მიმართებით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. ;დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს ორივე ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელ და განმავითარებელს. გამავითარებელი შეფასება ხორციელდება 1-4 კლასში და მე-5 კლასის პირველ სემესტრში,ხოლო განმსაზღვრელი შეშეფასება გამოიყენება მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-12 კლასის ჩათვლით. შეფასება სრულად მიემართება გრძელვადიან

	მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი და წერითი უკუკავშირით როგორც წერილობითი კომენტარი, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. კათედრას შემუშავებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭირვალეობას, სანდოობას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნებში წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებსა და შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველ დოკუმენტში ჩამს, რომ სკოლა ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპებისა და მიზნების დანერგვაზე. სამივე საფეხურის სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით. შეფასების კრიტერიუმებში თითოეულ თემასა და საკითხში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებულ რუბრიკებში ნაკლებად იყო ასახული მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორები თითოეულ ცნებასთან მიმართებით, მაგრამ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში კათედრამ წარმოადგინა გაუმჯობესებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **რჩევა: სასურველია, კათედრამ კურიკულუმში გაწერილ კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკათა ბანკი.**

	ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე შეფასების ძირიადი პრინციპები სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. კათედრა იყენებს, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასებით ფასდება , როგორც შემაჯამებელი , ასევე საშინაო და საკლასო დავალებები.როგორც კათედრაზე აღინიშნა მეტი წილი აქვს განმავითარებელ შეფასებას, რომელსაც ახორციელებენ ზეპირი უკუკავშირის ფორმით. იყენებენ ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა შესასვლელი და გასავლელი ბარათები, შუქნიშანი, შეფასების რუბრიკები. აქტიურად ნერგავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთ შეფასებას. **რჩევა: სასურველია განმავითრებელი შეფასება წერილობითი უკუკავშირის სახით აწარმოოთ და ასახოთ ელექტრონულ ჟურნალში.** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	სამივე საფეხურზე მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება და პროგრესი **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რამდენიმე კლასისთვის, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. მისი კომპონენტები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების პროცესში, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება. **რჩევა: სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საბუნებისმეტყველო კათედრა:
საგნობრივი კურიკულუმები
შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე
კათედრის სხდომის ოქმი
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
სასკოლო სასწავლო გეგმა
ლაბორატორიის ფოტო მასალა.
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები-
მოსწავლეთა რემედიაციის დებულების დოკუმენტი
.შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი
მოსწავლეთა ადაპტაციის დოკუმენტი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებული დოკუმენტაციით იკვეთება სასწავლო სასკოლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმს შორის კორელაცია. სამივე საფეხურზე სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას. სკოლამ წარმოადგინა სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის გათვალისწინებით. სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. მასწავლებლები ურთიერთშეფასებისას და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე ახდენენ კურიკულუმების მოდიფიცირებას, რაც შემდეგში იძლევა საშუალებას მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა მზაობა. საჭიროებები და ინტერესები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა აქტიურად ანხორციელებს შემოქმედებითი დავალებებით სწავლებას, რის ფარგლებშიც წარმოდგენილია მოსწავლეების ნამუშევრები. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებს მეთოდოლოგია სადაც ნათლად არის გაწერილი კურიკულუმის განვითარების ფაზების კერძოდ : კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასების, გადასინჯვა , რევიზიის პროცესები და პასუხისმგებელი პირები სამივე საფეხურზე. ამის დასტურია ასევე წრმოდგენილი სასკოლო საათობრივი ბადე; საგნობრივი კურიკულუმები; - საგანმანათლებლო რესურსი(სახელმძრვანელოები; ლიტერატურა, ელ.რესურსი) ,მოსწავლის შედეგების შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა ურთიერთდასწრება კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა; მოსწავლეთა რემედიაციის და ადაპტაციის პროგრამები. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილია მუსიკისა და ხელოვნების საგნებში კომპლექსურ-შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით, სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმები და პროექტის ფარგლებში განხორციელებული შემოქნედებითი დავალებები შეფასების რუბრიკებით, მოსწავლეთა ნამუშევრები, შემაჯამებელი დავალების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე რესურსები, მრავალფეროვანი თვალსაჩინოება.

	ყოველივე მოწმობს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად სამივე საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სსამივე საფეხურზე ასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობისათვის მათ ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული კომპლექსური ხასიათის დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, თუმცა ნაკლებად ჩანს ახორციელებენ თუ არა სასკოლო პროექტებს, ან ატარებენ თუ არა გასვლითი ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით: განხორციელებილი დავალებები , რეფლექსიები, გაკვეთილები ცხადჰყოფს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.მათემატიკის კურიკულუმში თემები და საკითხები გაწერილია თანმიმდევრულად, თანდათან ღრმავდება და აძლევს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების საშუალებას. ყველა კლასის მათემატიკის კურიკულუმი იწყება წინა კლასში ნასწავლი მასალის განმეორებით, რაც წინარე ცოდნის გააქტიურებას უწყობს ხელს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საბაზო-საშუალო საფეხურზე სკოლა ძირითადად ვერ ასწრებს კურიკულუმში გაწერილი ყველა შუალედური დავალების განხორციელებას,ასევე სკოლამ წარადგინა ისეთი განხორციელებული დავალების მასალა, რომელიც არ არის ასახული კურიკულუმში. **რჩევა: სასურველია მათემატიკის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით.** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი სურლად ვერ წარიმართება კურიკულუმების შესაბამისად, რადგან სკოლას გააჩნია გარკვეული ინფრასტრუქტურის პრობლემები, ასევე

	ბავშვების სიმცირის გამო რთულია სხვასხვა სპორტის დისციპლინის შესწავლა. მასწავლებლები ასრულებენ კურიკულუმების მხოლოდ ნაწილს, სკოლას აქვს საკმაოდ კარგი შედეგები სასკოლო ოლიმპიადებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები. **რჩევა: სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

   აქტიურად ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა, შემოქმედებითი ბუნების დავალებების განხორციელებისა და პრეზენტაციების პროცესში, რის შემდეგაც წინასწარ გამზადებული რუბრიკების მიხედვით ხორციელდება მათი შეფასება და საჭიროებების განსაზღვრა და საგნობრივ კურიკულუმებში ასახვა. კათედრა აქტიურად ახდენს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებების მიხედვით რეკომენდაციების შემუშავებასა და გაზიარებას, რაც ასახულია საგნობრივ კურიკულუმებსა და კათედრის ოქმში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კათედრა შეფასების პროცესს ახორციელებს ორი ტიპის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. პედაგოგების მიერ შემუშავებულია კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები და ზოგიერთი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი. **რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გამოიკვეთოს კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებასა და მისაღწევ შედეგებთან** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების, შეფასების რუბრიკების გაცნობისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა ახდენს ობიქტური შეფასების განხორციელებას სამივე საფეხურზე. კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა საშუალებას სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების სისტემის კიდევ უფრო მეტად ვალიდურობისთვის მასწავლებლები სასწავლო წლის დასაწყისში შემოქმედებით პროდუქტთან მიმართებით ქმნიან შეფასების რუბრიკებს, რომელიც ეფუძნება ესგ- ის პრინციპებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას.კათედრას წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალების ანალიზი. რუბრიკა არის შესაფასებელი დავალებების ვალიდური. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართენა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ხელოვნებისა და მუსიკის საგნებში წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში სანიმუშედ შერჩეულია თემები და საკითხები, რომლებშიც გათვალისწინებულია სამიზნე ცნებებზე მორგებული კრიტერიუმები. კათედრის მიერ შერჩეული შეფასების ინსტრუმენტები დაკრიტერიუმების შინაარსობრივი მხარე იძლევა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემის არსებობის შესაძლებლობას. **რჩევა:** სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს-რა უნდა გაეკეთებინა, წაახალისოს-რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა-რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. შემუშავებული აქვთ სხვადასხვა აქტივობის შესაფასებელი რუბრიკები, შემუშავებული აქვთ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმიც. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კათედრა მოსწავლის შეფასებასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით წინასწარ შეიმუშავებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, რომლის შემუშავებაში მეტნაკლებად ჩართულია მოსწავლეებიც, გარდა ამისა სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია შეფასების პრინციპები, რომლის მიზანი სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და თითოეული მოსწავლის პროგრესია. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა სსგ გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის დირექტორის ბრძანებით

	დამტკიცებული ვერიფიკაციის დოკუმენტი განამტკიცებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. **რჩევა: სასურველია კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მოსწავლეთა ჩართულობა რუბრიკების შემუშავებაში გაზრდის სანდოობის ხარისხს, სამართლიანობის პრინციპის დაცვას ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ ნამუშევრების ურთიერთ შეფასება. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა შესაძლებელია შეფასების რუბრიკების წინასწარ გაცნობით, როგორც მოსწავლეების ასევე მათი მშობლებისთვის.** **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	სამივე საფეხურზე მასწავლებლები ახორციელებენ გამჭირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია კურიკულუმში არსებული შინაარსისა და მისაღწევი შედეგების მიხედვით, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს, სადიაგნოსტიკო შეფასება (კითხვის მიმართულებით).

	რჩევა: სასურველია, აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**
   კათადრებს მოსწავლეთა მიღწევების გასაანალიზებლად შემუშავებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე შემაჯამებელი დავალების ანალიზის მასალები, რაც გულისხმობს მოსწავლეთა შეფასებას საფეხურის შედეგების იდიკატორების მიხედვით. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს ვერიფიკაციის განხორციელების დოკუმენტი. ამრიგად **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის მიერ მოსწავლეთა მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება სკოლის მიერ დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *ვერიფიკაციის დებულება;*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები.*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციით-კურიკულუმში ასახულია, რომ სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელობს და სხვადასხვა დამატებით რესურსებს მათ შორის (ტელესკოლის გაკვეთილები, აუდიო და ვიდეო რესურსები) სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში განთავსებული სხვადასხვა დამხმარე სასწავლო რესურსის ამსახველი ფოტო მასალა . **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული და დამატებითი დამხმარე რესურსების გამოყენებას სამივე საფეხურზე. კურიკულუმში წარმოდგენილია დამატებითი რესურსების მასალა, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, რასაც სკოლა უზრუნველყობს მატერიალური ბაზით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს სამივე საფეხურზე. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში.

	მასწავლებელები კომპიუტერების, პროექტორების საშუალებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებს აუდიო-ვიდეო რესურსებით სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამატებითი სასწავლო რესურსი ბმულების სახით (მუსიკის საგანში- სამინისტროს რესურსის სახელწოდებით), ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტები, სადაც თავმოყრილია სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსის სია საგნების და კლასების მითითებით **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა, ფილმები, „კარგი სკოლა“) **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში ცალკეული თემის ფარგლებში გაწერილი გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელო, ელ რესურსები შესაბამისობაშია სამიზნე ცნებასთან და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სამივე საფეხურზე. **რჩევა**: სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სწავლის მიზნების გათვალისწინებით მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

სპორტი	კსამივე საფეხურზე ურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. კერძოდ სხვადსხვა სპორტს თავისი სპეციფიკური რესურსი ჭირდება, სკოლა კი ამ ყველაფერს უზრუნველყოფს და იყენებს სასწავლო პროცესში. ეს რესურსი კურიკულიმში გაწერილი თემების მხოლოდ ნაწილს აკმაყოფილებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში არის მატერიალური რესურსი კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც მოწყობილი ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტქსელში. სკოლას აქვს 5 გამართული პერსონალური კომპიუტერი, 6 ნოუთბუქი, 9 პროექტორი და 2 პრინტერი. წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი მატერიალური, აუდიო და ვიდეო რესურსები **რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის სწავლებისას სკოლის მიერ წარმოდგენილია კლასებისა და თემების მიხედვით საგანმანათლებლო დამხმრე რესურსი და ფოტო მასალა რის საფუძველზეც , შეიძლება ითქვას , რომ სკოლა იყენებს დამხმარე რესურსს საგნობრივი სტანდარტით გათვალისიწინებული თემების, საკითხებისა და სამიზნე ცნებებთან მიმართებით სწავლების დროს. კომპლექსური დავალების განხორციელებისას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი კათედრის მიერ გაზიარებული დოკუმენტების გაცნობისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს დამხმარე რესურსების მობილიზება და მათი გამოყენება სამივე საფეხურზე. სკოლაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. აღნიშნული მიმართულებით აქტიურად გამოიყენება ელექტრონული პლათფორმები. ასევე სკოლაში სასწავლო დამატებითი რესურსების სახით გამოიყენება პედაგოგების/მოსწავლეების მიერ შექმნილი შემოქმედებითი ტიპის პროდუქტები, რისი ნიმუშების ამსახველი მასალა კათედრამ წარმოდგინა. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. მასწავლებელები კომპიუტერების საშუალებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებს აუდიო-ვიდეო რესურსებით სასწავლო პროცესში **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში გამოიყენება დამხმარე რესურსი (ტელესკოლის ვიდეოგაკვეთილები, ვიდეორგოლები, დოკუმენტური ფილმები, სხვადასხვა თვალსაჩინოება და სხვა). კსამივე საფეხურზე ათედრაზე მოწმდება, რამდენად არის ვალიდური შერჩეული სასწავლო

	რესურსი, შეესაბამება თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და რამდენად შეუწყობს ხელს სასწავლო მიზნების მიღწევა-განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. წლის დასაწყისში პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს დამხმარე რესურსების ჩამონათვალს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სკოლას აქვს პრაქტიკა: კათედრის სხდომაზე განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო რესურსებს: ძირითად გრიფირებულ, დამხმარე სახელმძღვანელოს, ტელესკოლის, სილქნეტის სკოლის თუ სხვა ვიდეო და ელ.რესურს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასასრულს, კათედრაზე აანალიზებენ და ერთმანეტთან შეთანხმებით არჩევენ ისეთ სასწავლო რესურსებს რომლებიც არის სანდო და ვალიდური **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	სამივე საფეხურზე სკოლას გააჩნია სპორტული ინვენტარი, რითიც უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესს. სკოლას არ აქვს ღია მოედანი და დახურული დარბაზი მაგრამ იყენებენ დიდ ოთახს სპორტული აქტივობებისთვის, სკოლა უზრუნველყოფილია მატერილური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ტექნოლოგიები	საგნობრივ კათედრაზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარესასწავლო რესურსები შეირჩა შეთანხმებულად დაწყებითი კლასების კათედრაზე, მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებით.

	ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და სათანადო ინვენტარით, აღჭურვილი ლაბორატორია , პროექტორი,ლეპტოპი. სკოლაში არსებული მრავალფეროვანი თვალსაჩინოება -პოსტერები მოდელები და სხვა მსგავსი რესურსი წარმოადგენს საკმარის მასალას სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სკოლა აღჭურვილია ყველა იმ სახის მატერიალური რესურსით, რომელიც საჭიროა კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით, კომპიუტერებით, პროექტორით და სხვა მსგავსი ტიპის ტექნიკურ- მატერიალური რესურსებით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. მასწავლებელები კომპიუტერების საშუალებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებს აუდიო-ვიდეო რესურსებით სასწავლო პროცესში.

	ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სკოლას აქვს საკმარისი მატერიალური რესურსი (კომპიუტერები, პროექტორები ელექტრო პიანინო, ხმის გამაძლიერებლები,სხვადასხვა ტიპის ვიზულური რესურსი), რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა განუწყვეტლივ იღვწის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
მათემატიკა	როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული, ინტერვიუზეც დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფილია იმ მატერიალური რესურსით, რომელიც სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეებს სამივე საფეხურზე. სკოლას აქვს მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი რესურსით აღჭურვილი საკლასო ოთახები და კომპიუტერული ლაბორატორია, მოსწავლეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სკოლაში არსებული რესურსით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
სპორტი	სამივე საფეხურზე კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. კერძოდ სხვადსხვა სპორტს თავისი სპეციფიკური რესურსი ჭირდება, სკოლა კი ამ ყველაფერს უზრუნველყოფს და იყენებს სასწავლო პროცესში. ეს რესურსი კურიკულიმში გაწერილი თემების მხოლოდ ნაწილს აკმაყოფილებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

ტექნოლოგიები	სკოლა, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს მოწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და შესაბამისი მატერიალური რესურსით - კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბიმისი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სპორტის, გერმანული ენისა და მათემატიკის მასწავლებლები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.08.2025 წ. – 01.08.2026 წ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილი შეესაბამება“.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სპორტის, გერმანული ენისა და მათემატიკის მასწავლებლებით შესაბამისი კურიკულუმის განხორციელება

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების ამსახველი დოკუმენტაცია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება დამყარებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და განვითარების მიხედვით. რასაც კათედრა ახდენს კურიკულუმის განხორცილების პროცესში გამოკვეთილი დეტალების, განმავითარებელი შეფასებისა და გაკეთილებზე ურთიერთდასწრებების ფარგლებში მიღებული მონაცემების მიხედვით.
   ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**
   მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაჭრას კათედრა ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების წარმოებით, რის ფარგლებში გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მოდიფიცირება სამივე საფეხურზე.
   ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**
   მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა. მასწავლებელები კურიკულუმის შექმნისა და სასწავლო პროცესში განხორციელების დროს აქტიურად თანამშროლობენ. საგაკვეთილო პროცესში მხარდაჭრას ახორციელებენ ურთიერთდასწრებებით, რის შემდეგაც ერთობლივად ახდენენ ანალიზს, შესაბამისად მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.
   ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეებს ნამუშევრები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**
   პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მოსწავლეთა შესაფასებლად კათედრა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შემაჯამებელ რუბრიკებს, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებებს, შემაჯამებელი დავალების ანალიზს სამივე საფეხურზე.
   ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.
2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**
   კურიკულუმების შექმნის/რევიზიის პროცესის პარალელურად იქმნება შეფასების რუბრიკები, რომელიც დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. ამრიგად, მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით.
   ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**
   კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მოსწავლეთა მიღწევების მონაცემების შესაგროვებლად მასწავლებელების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი რუბრიკები და ანალიზის ფორმები, გაკვეთლებზე ურთიერთდასწრების შედეგად გამოკვეთილი დეტალები.
   ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

კათედრას შექმნილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეფუძნება ესგ- ის პრინციპებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას, სუსტი და ძლიერი მხარეებს გამოკვეთას და შემდგომი უკუკავშირის გაცნობას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მხარდაჭერის პროცესი. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნის პროცესში ერთობლივად შეიმუშავეს ხედვა, რაც ეფუძნება საგაკვეთილო პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებს კონკრეტული კლასის მიხედვით და ამის შემდეგ მოახდინეს კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის მოდიფიცირება.
   ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**
   სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და მხარდაჭერის პროცესი, ჩართული მხარეების ფუნქცია-მოვალეობები, რაც მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. კერძოდ, მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას შემაჯამებელი დავალებების, შემოქმედებითი ბუნებისა და პროექტული დავალებების მიხედვით გამოკვეთილი შედეგების მიხედვით და ამის საფუძველზე გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს.
   ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 08.08.2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: